



განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო



ინოვაციის, მათხრობის და ხარისხის პროექტი - საქართველო
Innovation, Inclusion and Quality Project - Georgia I2Q

საინფორმაციო უზრცველი ტრანსკრანიალური მაგნიტური სტიმულაციის (TMS) შესახებ



რა არის ტრანსკრანიალური მაგნიტური სტიმულაცია (TMS)

TMS არის მკურნალობის მიდგომა, რომელიც ნერვული აქტივობის სტიმულირებისთვის მაგნიტურ იმპულსებს იყენებს. TMS მკურნალობა არის არაინვაზიური პროცედურა, ანუ არ გულისხმობს ოპერაციას, ანესთეზიას ან რაიმე სახის სედაციას.

გამოყენებული ტექნოლოგია მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (MRI) მსგავსია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის თავის ტვინის შესაბამის უბნებზე ქმნის ძალიან მოკლე და მცირე ელექტრულ ველებს, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმის ნერვულ აქტივობაზე.

მაგნიტური იმპულსების საშუალებით რამდენიმე სესიის განმავლობაში თავის ტვინის შესაბამისი უბნების სტიმულირებით შეიძლება ხანგრძლივი დადებითი შედეგის მიღწევა ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, დეპრესიის მკურნალობის შემთხვევაში, TMS თერაპიული მიდგომა გულისხმობს ტვინის არააქტიური უბნების გააქტიურებას.

რამდენად უსაფრთხოა TMS

TMS არის მკურნალობის უსაფრთხო მეთოდი, მცირე გვერდითი მოვლენებით. ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენა არის გარდამავალი თავის ტკივილი, დისკომფორტის შეგრძნება მკურნალობის ადგილზე, ხანმოკლე შფოთვა ან თავბრუსხვევა. ძალიან იშვიათ შემთხვევებში შესაძლოა განვითარდეს გულყრა (თუმცა, TMS-თან დაკავშირებული გულყრის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა აშშ-ის საკვებისა და მედიკამენტების ხარისხის კონტროლის სააგენტოს (FDA) მიერ ჩატარებული კვლევით, რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა 10.000 TMS სესია).

TMS მკურნალობის დროს არ ვითარდება ანტიდეპრესანტებისთვის დამახასიათებელი გვერდითი მოვლენები, მაგალითად: წონის მატება თუ სექსუალურ და კუჭ-ნაწლავის სისტემებთან დაკავშირებული პრობლემები.

რუნისცენსუალი დეპრესიის მკურნალობა TMS მეთოდით

2008 წლიდან TMS მკურნალობა რეკომენდებულია დეპრესიის დიაგნოზის მქონე იმ პაციენტებისთვის, რომლებმაც მედიკამენტური მკურნალობით ვერ მიაღწიეს დამაკმაყოფილებელ გაუმჯობესებას (მედიკამენტური მკურნალობის დაბალი ეფექტურობისა, თუ გვერდითი მოვლენების გამო). ამგვარი პაციენტებისთვის TMS არის მკურნალობის ეფექტური ალტერნატივა.

მომედეპრესიული აშლილობის დროს TMS გვეხმარება რემისიის მიღწევაში, როგორც მკურნალობის ალტერნატიული მტკიცებულებითი მეთოდი, იმ პაციენტებისთვის, რომლებთანაც ანტიდეპრესანტებით მკურნალობამ გაუმჯობესება ვერ აჩვენა.

პროცედურის აღწერა და შედეგინაშობის პირობები:

TMS მკურნალობა, რომელიც განმეორებით სტიმულაციას გულისხმობს, გრძელდება რამდენიმე წუთი. მკურნალობის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ პაციენტს შეუძლია გააგრძელოს ჩვეულებრივი ყოველდღიური საქმიანობა. საერთო ჯამში, პაციენტი იღებს კვირაში 5 თერაპიულ სესიას, 4-დან 6 კვირის განმავლობაში. მკურნალობის დროს პაციენტი უნდა იყოს ფსიხელ მდგომარეობაში.

კვლევების მიხედვით, როდესაც ანტიდეპრესანტებით მკურნალობა დადებით შედეგს ვერ იძლევა, TMS სესიებს მოაქვს შემდეგი შედეგი:

- დაახლოებით ორიდან ერთ პაციენტს აღენიშნება დეპრესიის სიმპტომების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება;
- დაახლოებით სამიდან ერთ პაციენტთან, TMS სრული თერაპიის კურსის შემდეგ, ფიქსირდება რემისია (სიმპტომების გაქრობა).

რა შემთხვევაში არ არის რეკომენდებული TMS მკურნალობის გამოყენება

TMS მეთოდის გამოყენება არ შეიძლება ორსულობის შემთხვევაში და ასევე, თუ ადამიანს:

- აქვს იმპლანტები, მაგალითად ყურის იმპლანტი, ფეისმეიკერი, მედიკამენტების ტუმბოები ან სხვა იმპლანტირებული მოწყობილობები;
- აქვს ნებისმიერი სახის ლითონი თავის არეში;
- ანამნეზში უფიქსირდება ეპილეფსიური გულყრა;
- აქვს თავის ტვინის ვასკულარული, ტრავმული, სიმსივნური, ინფექციური ან მეტაბოლური დაზიანება.

ასევე, TMS მკურნალობა არ ტარდება მწვავე, მაღალი სუიციდური რისკის შემთხვევაში, და ფსიქოზური ეპიზოდების დროს.

სად უნდა მიმართოთ TMS მომსახურების მისაღებად?

TMS მკურნალობა ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში, სადაც მუშაობენ TMS მეთოდის გამოყენებაში სერტიფიცირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტები.

მკურნალობა პაციენტისთვის ამ ეტაპზე უფასოა.

მომხმარებელი

✉ tms@iliauni.edu.ge

პროფესორები

ნინო მახაშვილი
ჯანა ჯავახიშვილი